

სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

1. წესის შემუშავება მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესში ინდივიდუალური მიდგომის დანერგვას და სტუდენტის მხარდაჭერას მისი განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წინაპირობას შეიძლება წარმოადგენდეს:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული სასწავლო გეგმით სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელების შეუძლებლობა;

2.2 სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების გათვალისწინება (გარე და შიდა მობილობის განხორციელებისას, სტუდენტის აკადემიური მომზადების განსხვავებული დონე).

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს სწავლა/სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, რა დროსაც უნივერსიტეტი პროგრამაზე არსებულ სტუდენტს უზრუნველყოფს შემდგომი განათლებით.

5. სტუდენტმა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელ სკოლას.

6. სკოლის ადმინისტრაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხს განიხილავს სტუდენტის მონაწილეობით და უნივერსიტეტის რესურსების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას.

7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას სკოლამ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ:

ა) წელიწადში სტუდენტის დატვირთვა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა;

ბ) სტუდენტმა უნდა შეძლოს სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შუალედური და დასკვნითი შეფასების საფუძველზე.